სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. თბილისი 07/06/2024

13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ გოგშელიძე
2. შორენა დარჩიაშვილი
3. აკაკი მიქაბერიძე
4. სალომე ჩიტიშვილი
5. ლევან ხარანაული
6. პავლე ჯაგუნავა

2024 წლის 7 ივნისს, 13:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 310 აუდიტორიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეორე სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ გოგშელიძემ, რომელმაც კომისიის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

<u>დღის წესრიგის პროექტი</u>

1. საარჩევნო კომისიის რეგლამენტის განხილვა და დამტკიცება;
2. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრა;
3. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადების ფორმის განხილვა და დამტკიცება;
4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ საარჩევნო კომისიის მუშაობა, საარჩევნო წესის გარდა, შეიძლება დარეგულირდეს რეგლამენტით. ამიტომ, საარჩევნო კომისიის ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელია საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მიღება და წარმოადგინა საარჩევნო კომისიის რეგლამენტის პროექტი, რომელიც უნდა დამტკიცდეს საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

აზრი გამოთქვეს:

საარჩევნო კომისიის რეგლამენტის წარმოდგენილი პროექტის თაობაზე კომისიის წევრთა შორის გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს საარჩევნო კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ, კომისიის წევრებმა ლევან ხარანაულმა, შორენა დარჩიაშვილმა, პავლე ჯაგუნავამ, სალომე ჩიტიშვილმა. განხილვის შემდეგ, საბოლოო ვერსია კომისიის თავმდომარემ ზურაბ გოგშელიძემ დააყენა კენჭისყრაზე.

1. **<u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცება საარჩევნო კომისიის N1 განკარგულების შესაბამისი დანართით (დანართი 1).</u>**

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტი საარჩევნო კომისიის N1 განკარგულების შესაბამისი დანართით (დანართი 1).

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭიროა განისაზღვროს საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, რაც უნდა დამტკიცდეს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით.

აზრი გამოთქვეს:

საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის შესახებ აზრი გამოთქვეს კომისიის თავმდომარემ ზურაბ გოგშელიძემ, კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ, კომისიის წევრებმა ლევან ხარანაულმა და შორენა დარჩიაშვილმა. აღინიშნა, რომ არჩევნების მიზნებისთვის აუცილებელია საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა წარმოადგინონ განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი და ცნობა დაკავებული აკადემიური (ფაკულტეტის წარმომადგენელი) ან სამეცნიერო თანამდებობის შესახებ (დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი). კომისიის თავმდომარემ ზურაბ გოგშელიძემ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დააყენა კენჭისყრაზე.

2. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებში საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრა შემდეგი სახით:</u>

1. შევსებული განცხადების ფორმა;
2. პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
3. ცნობა:
   - დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ (ფაკულტეტის წარმომადგენელი)
   - ცნობა დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ (დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი);

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებში საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. შევსებული განცხადების ფორმა;
2. პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
3. ცნობა:
    - დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ (ფაკულტეტის წარმომადგენელი)
    - ცნობა დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ (დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი);

საარჩევნო კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადების ფორმის დამტკიცება და წარმოადგინა საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადების ფორმის პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

საარჩევნო კომისიის წევრებმა იმსჯელეს საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადების ფორმის პროექტზე. აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა შორენა დარჩიაშვილმა, პავლე ჯაგუნავამ, სალომე ჩიტიშვილმა. განხილვის შემდეგ, განცხადების ფორმის პროექტი კომისიის თავმდომარემ ზურაბ გოგშელიძემ დააყენა კენჭისყრაზე.

3. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებში საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადების ფორმის დამტკიცება წარმოდგენილი სახით (დანართი 2).</u>

გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადების ფორმა დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით დანართი 2-ის შესაბამისად.

თავმჯდომარე:

/ზურაბ გოგშელიძე/ ----------

მდივანი:

/აკაკი მიქაბერიძე/ ----------

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის

განკარგულება N 1

ქ.თბილისი 2024 წლის 07 ივნისი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" N135/ნ ბრძანების მე-7, 24-ე და 25-ე მუხლების, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ" სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილებისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N144/01-01 ბრძანების შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისია (შემდგომში - საარჩევნო კომისია) ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს საარჩევნო კომისიის რეგლამენტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

საარჩევნო კომისიის რეგლამენტი შესასრულებლად სავალდებულოა გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მისი მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ზურაბ გოგშელიძე/

კომისიის მდივანი: /აკაკი მიქაბერიძე/

დანართი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისია (შემდგომში-საარჩევნო კომისია) უზრუნველყოფს არჩევნების მომზადებას, ორგანიზებასა და ჩატარებას.
2. საარჩევნო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანებით, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილებით, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N144/01-01 ბრძანებით, წინამდებარე რეგლამენტითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.
3. რეგლამენტი განსაზღვრავს საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას, საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებას.
4. საარჩევნო კომისია კომპეტენციის ფარგლებში მინიჭებულ უფლებამოსილებათა დამოწმების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილებისა და წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად გათვალისწინებული მიზნების მიღწევის მიზნით სარგებლობს საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

5. საარჩევნო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე და წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
6. საარჩევნო კომისიის სამუშაო დღედ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე ითვლება ყველა კალენდარული დღე გარდა კვირა დღისა. სამუშაო დღის 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე (შესვენება 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე) აწარმოებს განცხადებების მიღებასა და მათზე რეაგირებას.
7. საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებია:
   ა) საარჩევნო კომისიის განკარგულება;
   ბ) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება;
   გ) საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულება;
   დ) ქვეკომისიის განკარგულება;
   ე) ქვეკომისიის თავმჯდომარის განკარგულება.

მუხლი 2. საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

1. საარჩევნო კომისია შედგება 7 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე, სხდომას თავმჯდომარეობს კომისიის უხუცესი წევრი.

2. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში – წილისყრით განსაზღვრული პირი.

3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.

4. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

6. თუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და/ან მდივანს დროებით არ შუძლიათ ამ რეგლამენტით განსაზღვრული ისეთი მოვალეობის შესრულება, რომელიც მათ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, კომისია თავისი შემადგენლობიდან ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ირჩევს კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის მოვალეობის შემსრულებელს. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი კომისიის თავმჯდომარე შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას, ხოლო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი მდივანი შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 3. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა

1. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა იწყება საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღიდან და წყდება აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესითა და წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე.

2. ქვეკომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება კომისიაში მისი შემცვლელი წევრის დანიშვნისთანავე.

3. საარჩევნო კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს საარჩევნო კომისია.

4. საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) არასაპატიო მიზეზით კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენის შემთხვევაში.

5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდებიან კომისიის განკარგულებით:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნის პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) არასაპატიო მიზეზით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნის უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან არასაპატიო მიზეზით საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენის შემთხვევაში;

6. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადადგომის (გადაყენების) ან კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

7. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის გადადგომის (გადაყენების) თაობაზე დასაბუთებული განცხადება წარედგინება საარჩევნო კომისიას.

8. აკრძალულია ერთი და იმავე საფუძვლით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის დაყენება 7 დღის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ.

9. თუ გადადგომის (უფლებამოსილების შეწყვეტის) თაობაზე განცხადება 2 დღის ვადაში არ დაკმაყოფილდა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თანამდებობიდან გადამდგარად ჩაითვლება, ხოლო საარჩევნო კომისიის წევრს კი უფლებამოსილება შეუწყდება ამ ვადის გასვლის მომდევნო დღიდან.

მუხლი 4. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

1. საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, აკონტროლებს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას;

ბ) იღებს საარჩევნო კომისიის რეგლამენტს;

გ) თუ შეუძლებელი გახდა ამ რეგლამენტით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება და ვადების დაცვა, უფლებამოსილია განკარგულებით განსაზღვროს საარჩევნო ღონისძიებები და მათი ვადები; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინოს წინადადება ახალი არჩევნების თარიღის დანიშვნის თაობაზე;

დ) არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით უზრუნველყოფს ქვეკომისიების დაკომპლეტებას; კოორდინირებული საქმიანობისათვის თანამშრომლობს თსუ-ს ადმინისტრაციასთან, კერძოდ, კენჭისყრის ოთახებისა და მათი მოწყობისათვის საჭირო ინვენტარის გამოყოფისთვის, ქვეკომისიების დაკომპლეტებისათვის. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია დადგენილ ვადებში ქვეკომისიების დაკომპლექტების შეუძლებლობის შემთხვევაში, თვითონ უზრუნველყოს ქვეკომისიის წევრთა შერჩევა და დამტკიცება. ასევე, თსუ ადმინისტრაცია ვალდებულია არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრულ საქმიანობასა თუ ღონისძიებების განხორციელებას შეუწყოს ხელი.

ე) თუ ქვეკომისია არ ან ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ქვეკომისიას, და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც ქვეკომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება;

ვ) ამტკიცებს საარჩევნო ბიულეტენის ფორმას;

ზ) უზრუნველყოფს საარჩევნო საბუთების, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების დამზადებასა და ქვეკომისიების მომარაგებას;

თ) ამტკიცებს საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებს: ამომრჩეველთა ერთიანი სია, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, შესწორების ოქმი, არჩევნების შედეგების აქტი;

ი) განსაზღვრავს განმეორებითი კენჭისყრის ჩატარების ზუსტ დროსა და ადგილს;

კ) განცხადების (საჩივრის) საფუძველზე ამოწმებს ქვეკომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ. საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ქვეკომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნის, საარჩევნო ბიულეტენების ან სპეციალური კონვერტების ხელახლა დათვლისა, ასევე ამომრჩეველთა სიების გადამოწმების შესახებ;

ლ) ქვეკომისიების მიერ წარმოდგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ამტკიცებს აკადემიური საბჭოს არჩევნების შედეგებს შემაჯამებელი აქტით;

მ) ახორციელებს დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაციას და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს;

ნ) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ო) განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

პ) პერსონალის მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის, შესაბამისი ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინების საფუძველზე ადგენს ამომრჩეველთა ერთიან სიას, ახდენს მის დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის გამოქვეყნებას;

ჟ) უზრუნველყოფს ქვეკომისიის წევრთა გადამზადებას;

რ) ახორციელებს მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. საარჩევნო კომისიის ყველა განკარგულება ქვეყნდება თსუ-ის ვებ-გვერდზე და შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც.

მუხლი 5. ქვეკომისიების შექმნა და მისი უფლება-მოვალეობები

1. საარჩევნო კომისია განიხილავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს და იღებს გადაწყვეტილებას ქვეკომისიების შექმნის შესახებ.

2. ქვეკომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით.

3. ქვეკომისია პირველივე სხდომაზე თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ქვეკომისიის თამვდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ.

4. ქვეკომისიის სხდომებს იწვევს და უძღვება ქვეკომისიის თავმჯდომარე.

5. ქვეკომისია ხელმძღვანელობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანებით, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილებით, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივნისის N144/01-01 ბრძანებით,

წინამდებარე რეგლამენტით, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 6. კენჭისყრის დღე

1. ქვეკომისიები აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის, წინამდებარე რეგლამენტისა და საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფენ კენჭისყრის დღის პროცედურების აღსრულებას.

2. ქვეკომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცედურის დადგენილი წესით წარმართვას, წესრიგის დაცვას და საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე წევრის ჩანაცვლებას.

3. ქვეკომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია პირს მიუთითოს ქვეკომისიის საქმიანობისათვის ხელისშეშლის აღკვეთის თაობაზე, გააფრთხილოს ხარვეზისა და დარღვევის შემთხვევაში, ხოლო განმეორების შემთხვევაში ქვეკომისიასთან შეთანხმებით უზრუნველყოს საარჩევნო უბნიდან დამრღვევი პირის გაძევება, აღნიშნული საკითხი მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში ქვეკომისიის წევრთა ხელმოწერით.

4. კენჭისყრის დაწყებამდე ფუნქციების გადანაწილება ხდება ქვეკომისიის თავმჯდომარის მიერ.

5. ქვეკომისიის თავმჯდომარე აუცილებლობისა და შეთანხმების საფუძველზე, სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით (მიზეზის, დროისა და ხელმოწერის აღნიშვნით) ასრულებს ქვეკომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას.

6. ქვეკომისიის რეგისტრატორი თავმჯდომარის თანხმობით ამომრჩეველზე გაფუჭებული/დაზიანებული ბიულეტენის შეცვლის მიზნით გასცემს ახალ ბიულეტენს (სასურველია მოხდეს აღნიშნულის აღრიცხვა), ხოლო ქვეკომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს უკანა გვერდზე აწერს გაფუჭებულია და ცალკე ინახავს.

7. ქვეკომისიის მდივანი უზრუნველყოფს სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას, საჩივრების, განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციასა და თანმდევი პროცესების აღწერას და საჭიროების შემთხვევაში სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით ითავსებს ქვეკომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას. ასევე, ქვეკომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

8. ქვეკომისიის რეგისტრატორი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა მონაცემების შემოწმებასა და სამაგიდე სიაში რეგისტრაციას, ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენის ამომრჩეველზე გაცემას. თავმჯდომარის მოთხოვნით ახორციელებს ხელმოწერების ან/და გამოუყენებელი ბიულეტენების გადათვლას და თავმჯდომარისათვის ინფორმაციის მიწოდებას, შეუსაბამობის შემთხვევაში ახსნა-განმარტებას წერს რეგისტრატორი.

9. ქვეკომისიის წევრი - ნაკადის მომწესრიგებელი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნაკადის მოწესრიგებას კენჭისყრის ოთახში. ნაკადის მომწესრიგებელი კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველს შეუშვებს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში და თუ ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება;

10. ქვეკომისიის წევრი - საარჩევნო ყუთის ზედამხედველი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს. საარჩევნო ყუთთან მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს.

11. თუ კენჭისყრის დაწყებამდე გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებით ქვეკომისიის წევრთა რაოდენობა ნაკლები აღმოჩნდა, ქვეკომისიის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას თუ ვის დააკისროს ანდა შეუთავსოს (დამატებით) შესაბამისი ფუნქცია.

12. კენჭისყრის დასრულების შემდეგ, ქვეკომისიის თავმჯდომარე რეგისტრატორისგან იღებს ინფორმაციას არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ.

მუხლი 7. საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება

1. საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 09:30 სთ.

2. კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღის 10:00 საათიდან 17:00 საათამდე; ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ამომრჩეველთა ნაკადს კენჭისყრის ოთახში შესვლისას არეგულირებს ნაკადის მომწესრიგებელი; იმისათვის, რომ რიგი არ დადგეს საარჩევნო უბანზე, თითო რეგისტრატორთან დისტანციის დაცვით მხოლოდ ორი ამომრჩევლის შეშვების უფლება აქვს. ასევე, ეკითხება აქვს თუ არა იდენტიფიკაციისათვის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ამომრჩეველი რეგისტრატორთან გადაინაცვლებს.

ბ) ამომრჩეველს რეგისტრატორი ამომრჩეველთა სამაგიდე სიაში ამოწმებს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით; ამის შემდგომ ამომრჩეველთა სამაგიდე სიაში შესაბამისი ამომრჩევლის სახელისა და გვარის გასწვრივ ხელს აწერს რეგისტრატორი და ამომრჩეველს აწვდის რეგისტრატორის მიერ შესაბამის გრაფაში ხელმოწერილ საარჩევნო ბიულეტენს; ბიულეტენის მიღების ფაქტს ამომრჩეველი ადასტურებს თავისი სახელისა და გვარის გასწვრივ ამომრჩეველთა სიაში ხელისმოწერით; ამის შემდგომ ამომრჩეველი უფლებამოსილია გადაინაცვლოს საარჩევნო კაბინაში და მას შემდეგ რაც წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ არაუმეტეს იმდენ კანდიდატს, რამდენი პირიც არის ასარჩევი. საარჩევნო კაბინიდან გამოსული ამომრჩეველი, დაკეცილ

საარჩევნო ბიულეტენს ათავსებს საარჩევნო ყუთში. ამ პროცედურების გავლის შემდგომ ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.

გ) ამომრჩეველთა სიაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიასთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას.

3. ქვეკომისიის წევრები ვალდებულნი არიან ატარონ სამკედრე ნიშანი (მოწმობა).

4. საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე ჩასატარებელი ღონისძიებები:

ა) საარჩევნო უბნის გახსნისას ქვეკომისია ამოწმებს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინვენტარს, რომელიც აუცილებელია არჩევნების ჩატარებისათვის.

ბ) ქვეკომისიის მდივანი ავსებს სარეგისტრაციო ჟურნალს, რომელშიც აღირიცხება არჩევნების დღეს წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცესები, მათ შორის, კენჭისყრის ოთახში მყოფი პირების ვინაობა, შესვლისა და გამოსვლის დრო და მათი ხელმოწერა, საჩივრები, განცხადებები, შენიშვნები და სხვ.

5. კენჭისყრის მიმდინარეობის დროს აკრძალულია კენჭისყრის ოთახის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება. თუ რაიმე გარემოება აფერხებს კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას, ქვეკომისიამ ხმათა უმრავლესობით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი რეაგირებისათვის. ხოლო კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, კენჭისყრის ოთახის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქვეკომისია ხმათა უმრავლესობით. აღნიშნული გადაწყვეტილება მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში კომისიის წევრთა ხელმოწერებით და საფუძვლით; ასევე, გარემოებათა მითითებით, დაუყოვნებლივ ეცნობება საარჩევნო კომისიას.

6. საარჩევნო უბნის დახურვა:

ა) კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის ოთახი იხურება 17:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. ქვეკომისიის თავმჯდომარის დავალებით ქვეკომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს და მათ რაოდენობას აცნობებს ქვეკომისიის თავმჯდომარეს, ხოლო ქვეკომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში უთითებს რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობასა და სახელსა და გვარებს. როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, კენჭისყრა დასრულებულად ცხადდება, რის შემდეგაც ქვეკომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს.

ბ) ქვეკომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. ქვეკომისიის მდივანს სარეგისტრაციო ჟურნალში შეაქვს უბნის ხმების დათვლამდე კენჭისყრის ოთახში მყოფი ქვეკომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი, ასევე კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა სხვა პირის სახელი, გვარი (დამკვირვებელი

ორგანიზაციის დამკვირვებლის შემთხვევაში, მისი წარმდგენი ორგანიზაციის სახელწოდებაც) და ხელმოწერით ამოწმებინებს მათ.

გ) კენჭისყრის ოთახის დახურვის შემდეგ, კენჭისყრის ოთახში შესვლისა და დატოვების უფლება აქვთ კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებს.

დ) ქვეკომისიის წევრები (რეგისტრატორები) ითვლიან არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ხელმოწერების მიხედვით; ასევე, გადამოწმების მიზნით, დამატებით, გაცემულ და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას (გაცემული ბიულეტენის რაოდენობას - გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა = ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა). აღნიშნული მონაცემები უნდა დაფიქსირდეს სარეგისტრაციო ჟურნალში. ხოლო გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა ხელმოწერების მიხედვით ქვეკომისიის მდივანმა შემაჯამებელ ოქმში უნდა დააფიქსიროს.

ე) ყველა აუცილებელი პროცედურის შესრულების შემდეგ ქვეკომისიის თავმჯდომარის მითითებით ხდება საარჩევნო ყუთის გახსნა.

ვ) საარჩევნო ყუთის გახსნის შემდგომ ქვეკომისიის წევრების მონაწილეობით მიმდინარეობს ბიულეტენების დათვლა. თავმჯომარის გადაწყვეტილებით ქვეკომისიის წევრებს მიენიჭებათ ბიულეტენების დახარისხებისა და დათვლის ფუნქცია. ბიულეტენები დახარისხდება შემდეგი წესით: ნამდვილი ბიულეტენები კანდიდატების მიხედვით, ბათილი და საეჭვო ბიულეტენები. საეჭვო ბიულეტენის ნამდვილად ან/და ბათილად აღიარებას ახდენს ქვეკომისია ხმათა უმრავლესობით და აღნიშნულ პროცესს ატარებს ბიულეტენთა დახარისხების შემდეგ. დათვლის პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ ქვეკომისიის წევრები. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირები პროცესის ხელის შეშლის გარეშე და გონივრული დისტანციის დაცვით აკვირდებიან პროცესს.

ზ) დახარისხებული ბიულეტენები იკვრება და მოთავსდება შესაბამის კონვერტში.

7. კენჭისყრის შედეგების შეჯამება - ბიულეტენების დათვლის შემდგომ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ქვეკომისიის ყველა წევრი. შემაჯამებელ ოქმში შეცდომის დაშვებისას დგება შესწორების ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ქვეკომისიის წევრები, ხოლო შემაჯამებელ ოქმში დაშვებული შეცდომის გასწვრივ იწერება - ,,შესწ.“, შესაბამისად, შემაჯამებელ ოქმშივე არ ხდება მონაცემების შეცვლა/გადასწორება. შესწორების ოქმი შემაჯამებელი ოქმის განუყოფელ დოკუმენტს წარმოადგენს.

8. საარჩევნო ბიულეტენები, სარეგისტრაციო ჟურნალი საჩივრებთან ერთად, განცხადებებთან, ახსნა-განმარტებებთან და სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ცალ-ცალკე ილუქება კონვერტებში, რომელსაც ხელს აწერენ ქვეკომისიის წევრები, ამასთან, თითოეულ კონვერტზე უნდა აღინიშნოს დალუქული მასალის ტიპი, საარჩევნო უბნის დასახელება და არჩევნების თარიღი. არ ილუქება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (არსებობის შემთხვევაში - შესწორების ოქმი). ამ პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება საარჩევნო კომისიას.

9. არჩევნების დღეს საჩივარი იწერება ქვეკომისიაში, რომელსაც მდივანი ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში და ამასთანავე, აღნიშნავს თანმდევ შედეგებსაც, კერძოდ, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის, ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილების თაობაზე; საჩივარი განუხილველი დარჩება, თუ წინამდებარე რეგლამენტის მე-9 მუხლის შესაბამისად არ იყო წარმოდგენილი და თუ, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (10-15 წთ-ში) პირმა არ წარმოადგინა გასწორებული საჩივარი. სარეგისტრაციო ჟურნალში ტარდება ხარვეზით წარმოდგენილი საჩივარიც და ასევე, მიეთითება ყოველი შემდგომი პროცესი და შედეგი.

მუხლი 8. კენჭისყრის ოთახის მოწყობა

1. კენჭისყრისთვის მზადების და მისი ჩატარების მიზნით საარჩევნო კომისია აღჭურვილი უნდა იყოს ყველა საჭირო საარჩევნო დოკუმენტაციით და ინვენტარით, კერძოდ:

ა) საარჩევნო დოკუმენტაცია: ამომრჩეველთა სამაგიდე სია, საარჩევნო ბიულეტენები, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და შესწორების ოქმი;

ბ) საარჩევნო ინვენტარი: გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი, საარჩევნო ყუთის ლუქები, კენჭისყრის კაბინები, ქვეკომისიის ბეჭედი;

გ) არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო სხვა მასალა და ინვენტარი: საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქცია, ინფორმაცია თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი, განცხადება/საჩივრის წარდგენის წესი, საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთი კონვერტები და სხვ.

2. საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, კენჭისყრამდე მოაწყონ კენჭისყრის ოთახი. საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს:
ა) ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები;
ბ) საარჩევნო უბანზე ამომრჩევლისთვის კენჭისყრის კაბინა;
გ) აწყობილი, დაულუქავი საარჩევნო ყუთი.

მუხლი 9. განცხადება/საჩივრის და დარღვევის ოქმის შედგენისა და განხილვის წესი

1. განცხადება/საჩივარი გადაეცემა საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს განცხადება/საჩივარს სარეგისტაციო ჟურნალში, რომელშიც აღნიშნავს განაცხადება/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღს, დროსა და სარეგისტრაციო ნომერს (შემდეგი სახით: განცხადება/საჩივრის რეგისტრაციისას: განცხადება/საჩივარი N1, განცხადება/საჩივარი N2 და ა.შ.). ხოლო კომისიის მდივანი განმცხადებელს/მომჩივანს გადასცემს ცნობას თავისი ხელმოწერით და მოცემულ ცნობაში აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი, დრო და სარეგისტრაციო ნომერი.

2. განცხადება/საჩივარში აღინიშნება:

ა) განცხადება/საჩივრის შედგენის თარიღი და განმცხადებლის/მომჩივნის ხელმოწერა;

ბ) განმცხადებლის/მომჩივანის სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

გ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის სავარაუდო დრო;

დ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

3. განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის/ხარვეზის შემჩნევისთანავე შესაბამისი პროცესის ან პროცედურის მიმდინარეობისას (კენჭისყრის ან/და შემაჯამებელი ოქმის შედგენა), ხოლო კომისიამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება კომისიის წევრთა უმრავლესობით და არსებობის შემთხვევაში ხარვეზის/დარღვევის დროულად აღმოფხვრა.

4. განცხადება/საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ასარჩევად წარდგენილ კანდიდატს, დამკვირვებელსა და საარჩევნო კომისიის წევრს.

5. არჩევნების დღეს ამ დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი, შესაბამისი ფაკულტეტის ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) ქვეკომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;

ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 10. საარჩევნო ბიულეტენი

1. საარჩევნო ბიულეტენში მიეთითება არჩევნების დასახელება, არჩევნების ჩატარების თარიღი, საარჩევნო უბნის (შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის) სახელწოდება, საარჩევნო სუბიექტის - ასარჩევი კანდიდატის რიგითი ნომერი, გვარი და სახელი, რეგისტრატორის ხელმოწერის და ბეჭდის ადგილი.

2. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენში მითითებული კანდიდატის არჩევის მიზნით საკუთარ ნებას გამოხატავს კანდიდატის შემოხაზვით.

3. ნამდვილად ითვლება ბიულეტენი, რომელზეც მკაფიოდ არის ნება გამოხატული.

4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილად მიიჩნევა თუ:

ა) თუ საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერითა და ბეჭდით;

ბ) საარჩევნო ბიულეტენი განსხვავდება დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენისგან;

გ) თუ არ არის შემოხაზული არცერთი კანდიდატურა;

დ) თუ შემოხაზულია იმაზე მეტი კანდიდატურა, რამდენის არჩევის უფლებაც ჰქონდა ამომრჩეველს;

ე) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

ვ) საარჩევნო ბიულეტენი დაზიანებულია იმ სახით, რომ შეუძლებელია ნების გაგება.

მუხლი 11. საარჩევნო კომისიის და ქვეკომისიის სხდომის საჯაროობა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირები

1. საარჩევნო კომისიის/ქვეკომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ შესაბამისი ქვეკომისიის და საარჩევნო კომისიის წევრებს, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრირებულ თითო წარმომადგენელს, რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს თარჯიმანთან ერთად, რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ წარმომადგენლებს. წესრიგის დარღვევისა და საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში კომისიას უფლება აქვს წესრიგის დამრღვევი სხდომიდან გააძევოს, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

2. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლება აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიისა და შესაბამისი ქვეკომისიების წევრებს;

ბ) საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს;

გ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების აკრედიტებულ წარმომადგენლებს;

დ) რეგისტრირებულ დამკვირვებლებს;

ე) საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრირებულ წარმომადგენლებს.

3. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს (მოწმობას), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირის გვარი, სახელი და სტატუსი.

4. საარჩევნო კომისია/ქვეკომისია უფლებამოსილია დამატებით განსაზღვროს უფლებამოსილ პირთა სხდომაში მონაწილეობის წესი და დრო.

მუხლი 12. დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ

1. დამკვირვებელთა რეგისტრაცია ხორციელდება საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე და გაიცემა შესაბამისი მოწმობა. დაკვირვების სურვილის მქონე ფიზიკურმა ან/და იურიდიულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს საარჩევნო კომისიას არჩევნების დღის არა უგვიანეს 3 დღით ადრე.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალი;

გ) იმ ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.

მუხლი 13. დამკვირვებელთა უფლებამოსილება

1. დამკვირვებელს უფლება აქვს:

ა) კენჭისყრის დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის ოთახში და გადაადგილდებოდეს შეუზღუდავად;

ბ) თავისუფლად და დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;

გ) დააკვირდეს კენჭისყრის დღეს საჩივრების რეგისტრაციის პროცესს;

2. დამკვირვებელს უფლება არ აქვს:

ა) ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;

ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;

გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;

დ) კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;

3. ქვეკომისიის/საარჩევნო კომისიის წევრებმა ხელი არ უნდა შეუშალონ დამკვირვებელს უფლება-მოვალეობის შესრულებაში.

მუხლი 14. წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაცია

1. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

3. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.

4. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განსაზღროს წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაციის წესები, ასევე, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე აგიტაციის აკრძალვის წესები.

მუხლი 15. ფოტო-ვიდეო გადაღების წესი

1. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის/საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის გარეშე შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსიის) ან მონაცემების ფოტო-ვიდეო გადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/რომლებიც არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

2. ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის ოთახის გარეთ.

3. კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პერიოდის ჩათვლით, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან; ამ ადგილიდან უნდა ჩანდეს საარჩევნო ყუთი.

4. ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ, რომელიც მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში.

მუხლი 16. არჩევნების შედეგები

1. არჩევნები საარჩევნო უბანზე ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტმა.

2. საარჩევნო კომისია, აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს არჩევნების შედეგების დადგენას, დამტკიცებას, გამოცხადებასა და სათანადო ფორმით გამოქვეყნებას.

3. არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 23:00 საათისა. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 17. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს, შესაბამისი ფაკულტეტის ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

2. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

მუხლი 18. საბოლო შედეგების გამოქვეყნება

1.საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი აქტით.

2.არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების მიზნით

შექმნილ საარჩევნო კომისიას

_____

(სახელი, გვარი),

_____

(სტრუქტურული ერთეული და დაკავებული აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა)

_____

(საკონტაქტო ინფორმაცია(ტელ/ელ-ფოსტა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი კანდიდატურა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად

_____

(ფაკულტეტი/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული)

თანდართული დოკუმენტები:

1. მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი ☐

2. ცნობა დაკავებული აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის შესახებ ☐

ვადასტურებ, რომ სხვა სამეცნიერო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ მიკავია აკადემიური, ადმინისტრაციული ან სამეცნიერო თანამდებობა.

გვერდების რაოდენობა _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____ 2024 წელი